

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“-ს ანგარიში 2013 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების და პროგრამების შესახებ

2013 წელს აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს მიერ აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად, აკრედიტებულ იქნა 52 შესაბამისობის შემფასებელი პირი. მათ შორის:

- 4 საკალიბრებელი ლაბორატორია;
- 4 დაკანონებული გაზომვის საშუალების დამამოწმებელი პირი;
- 3 პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო;
- 1 პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო;
- 11 ინსპექტირების ორგანო (ტესტირების ცენტრი);
- 29 საგამოცდო ლაბორატორია.

დამატებით სფეროში აკრედიტაცია მიიღო:

- 1-მა დაკანონებული გაზომვის საშუალების დამამოწმებელი პირი.

გეგმური მონიტორინგი გაიარა 56-მა შესაბამისობის შემფასებელი პირმა. მათ შორის:

- 3 საკალიბრებელი ლაბორატორია;
- 2 დაკანონებული გაზომვის საშუალების დამამოწმებელი პირი;
- 2 პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო;
- 1 პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო;
- 14 ინსპექტირების ორგანო (ტესტირების ცენტრი);
- 34 საგამოცდო ლაბორატორია.

სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“-სათვის 2013 წელი მნიშვნელოვანი იყო აკრედიტაციის შესაძლებლობების გაზრდის და ინსტიტუციონალური განვითარებისათვის. აკრედიტაციის ცენტრში 2012-2013წწ. მიმდინარეობდა ევროპის TWINNING-ის პროექტი, რომლის ფარგლებშიც აკრედიტაციის ცენტრში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები. აღსანიშნავია, რომ TWINNING-ის პროექტის ძირითადი პრიორიტეტები სრულად შეესაბამებოდა აკრედიტაციის ცენტრის მიერ შემუშავებული ინსტიტუციონალური განვითარების გეგმაში ასახულ განსახორციელებელ ღონისძიებებს, რამაც ხელი შეუწყო ცენტრის მიერ დასახული გეგმების წარმატებით რეალიზაციას, როგორც აკრედიტაციის ახალი წესებისა და პროცედურების დახვეწის, მისი ინსტიტუციონალური განვითარებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის აკრედიტაციის ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობის კუთხით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ცენტრმა TWINNING-ის პროექტში ჩართული ევროპელი ექსპერტების რეკომენდაციების, ასევე აკრედიტაციის საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით და საქართველოს კანონის „პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, თავი X, მუხლი 103, პუნქტი 8, შესაბამისად შეიმუშავა აკრედიტაციის ახალი წესები და პროცედურები, რომლებიც შეთანხმდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და მიღებული რეკომენდაციების

და წინადადებების გათვალისწინებით 2013 წლის 10 იანვარს გამოქვეყნდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს ელექტორნულ-გვერდზე. ასევე, აკრედიტაციის ცენტრმა ბაზარს შეთავაზა აკრედიტაციის ახალი მიმართულებები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, სამედიცინო ლაბორატორიების აკრედიტაციისათვის სსტ ისო/იეკ 15189 და აუდიტისა და მენეჯმენტის სისტემების სერტიფიკაციის განმახორციელებელი ორგანოებისათვის - ისო/იეკ 17021-ის შესაბამისად.

იმავედროულად TWINNING-ის პროექტის ფარგლებში განხორციელდა რიგი ღონისძიებები ადამიანური რესურსების გაძლიერებისთვის. კერძოდ, ჩატარდა 40-მდე ტრენინგი/სემინარი ევროპის ახალი მიდგომის დირექტივებისა და სტანდარტების შესაბამისად აკრედიტაციის ცენტრის შემფასებლებისათვის, აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი პირების წარმომადგენლებისათვის და აკრედიტაციის სამუშაოებში ჩართული მოწვეული ექსპერტებისათვის.

აკრედიტაციის ცენტრის მენეჯმენტის სისტემა შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო სტანდარტის (სსტ ისო/იეკ 17011), EA-ს (*European Cooperation for Accreditation*), ILAC-ის (*International Laboratory Accreditation Cooperation*) და IAF-ის (*International Accreditation Forum*) მოთხოვნებთან. მენეჯმენტის სისტემა დადებითად შეფასდა მიმდინარე წლის ივლისში TWINNING-ის პროექტის ფარგლებში მოწვეული ექსპერტების მიერ და გაიცა მხოლოდ რამოდენიმე რეკომენდაცია პროცედურებში აღწერილი ზოგიერთ საკითხის გაუმჯობესების მიზნით, რომელთა იმპლემენტაცია განხორციელდა მენეჯმენტის სისტემაში. აკრედიტაციის ცნობადობის ამაღლების მიზნით დაიგეგმა და ჩატარდა 4 კონფერენცია.

თანამშრომლობა EA (European co-operation for accreditation)-თან.

2011 წლის ნოემბერში აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ასოცირებულ წევრობაზე, რომლის ფარგლებშიც ცენტრის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ EA-ს ტექნიკურ კომიტეტების და ყოველწლიური გენერალური ასამბლეის მუშაობაში. 2013 წელს აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს EA-ს ყოველწლიური ლაბორატორიულ, ინსპექტირების და სერტიფიკაციის ტექნიკური კომიტეტების საქმიანობაში, როგორც მოთხოვნილია საქართველო ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების პირობებით.